



ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება #017/15

1. ფაქტები

ადვოკატი დ.ა. 2014 წლის 08 ივლისის დაზუსტებულ სასარჩელო განცხადებაში აყალიბებს შემდეგ მოსაზრებას: მაგრამ ყველა სარჩელი ხვდება მოსამართლე თ. ჩ.-სთან, რომელიც არის ამხანაგობა „X“-ში მოკალათებული თაღლითური დაჯგუფების ხელმძღვანელის, გ.ი.-სახლობელი, რომელთან ერთადაც მუშაობდა რამოდენიმე წლის წინ და თ.ჩ. ყველანაირად ცდილობს არ მიიღონ წარმოებაში სარჩელები, მითუმეტეს უარს აცხადებს მოთხოვნილ უზრუნველყოფის ღონისძიებაზე.

2014 წლის 10 ივლისის ხელნაწერ კერძო საჩივარში დ.ა. აღნიშნავს შემდეგს „მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა ლ.ჭ.-ის სარჩელი ეწერება მოსამართლე თ.ჩ.-ს, რომელიც პირადად არის დაინტერესებული, რათა არ მოხდეს ჭ.ის საქმის განხილვა, რადგან ამ საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილებით ფარდა აეხდება თაღლითი გ. ი.-სა და უპრინციპო მოსამართლე თ. ჩ.-ის დანაშაულებრივ ალიანსს“. დ.ა. 2014 წლის 10 ივლისის განცხადებაში უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ, წერს შემდეგს: „გ.ი.მ და მის ირგვლივ შეგროვილმა კრიმინალებმა გამოუცხადეს სამკვდრო სასიცოცხლო ომი, აიკლეს სატელეფონო მუქარებით მოთხოვნით საქმის გამოტანაზე და ა.შ.“;

2014 წლის 17 სექტემბრის განცხადებაში მოსამართლე გ. ე.-ს მიმართ, დ.ა. წერს შემდეგს: „2014 წლის თებერვლიდან წარუმატებლად ვცდილობ თქვენს კოლეგიაში შემოვიტანო ჩემი მარწმუნებლის მე-2 ჯგუფის ინვალიდის ლ.ჭ.-ის სარჩელი მოპასუხეების გ. ი.-ს, შპს „Y“-ს, შპს „ჭ.-ის“ და სხვათა მიმართ, რაშიც ამ თაღლითებს სავარაუდოდ კორუფციული გარიგებით ხელი შეუწყო თქვენმა მოსამართლე თ.ჩ.მ და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე კ.-მ (თ. ჩ.-ს მეუღლე)“. 2014 წლის 15 ივლისის საჩივარში დ.ა. წერს შემდეგს: „საუბედუროდ თქვენ, თქვენი უმოქმედობით ისევ აგრძელებთ გ. ი.-ს დანაშაულებრივ ქმედებებში ხელშეწყობა – დახმარებას.“ მოცემულ დოკუმენტებს ხელს აწერს ადვოკატი დ.ა., როგორც ლ.ჭ.-ის რწმუნებული.

2. პროცესუალური ისტორია

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა გ.ი.-მ და მოითხოვა ადვოკატ დ.ა.-ს მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

2015 წლის 13 აპრილს პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ დ.ა.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3. სამართლებრივი ანალიზი

წარმოადგენდა თუ არა ადვოკატ დ.ა.-ს მიერ წარმოთქმული მოსაზრებები მისი კოლეგა ადვოკატის ღირსებისა და პატივის შელახვას? ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას“. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებით უზრუნველყოფილია სიტყვისა და აზრის, ასევე ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება. არ შეიძლება აზრისა და გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში იქნეს განხილული ადამიანისათვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

**NEW VISION
UNIVERSITY**

**EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE**
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

ან/და დანაშაულის ჩადენაში დადანაშაულება, რაც პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ტოლფასია. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით“, ვინაიდან საქმეში არ მოიპოვება კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც დაადასტურებდა ადვოკატ გ. ი.-ს თაღლითურ ქმედებას, გ.ი.-სთაღლითად, თაღლითური დაჯგუფების ხელმძღვანელად მოხსენიება არღვევს უდანაშაულობის პრეზუმციას. განხილვის კოლეგიის შეფასებით, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა წარმოადგენს პიროვნული და პროფესიული პატივისა და ღირსების შელახვას. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.“ განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ დ.ა.ის მიერ ადვოკატ გ.ი.-ს მიმართ გამოყენებული ფრაზები კლიენტს არ აძლევს სარგებელს. განხილვის კოლეგია ვერ გაიზიარებს ადვოკატ დ.ა.ის არგუმენტს, რომ ის მოქმედებს თავისი მარწმუნებლის ნებისა და დავალების შესაბამისად და ის გამონათქვამები, რაც მან გამოიყენა ადვოკატ გ.ი.-ს მიმართ ჯდება საადვოკატო მომსახურების ფარგლებში და ადვოკატს არ შეეძლო შეწინააღმდეგებოდა მარწმუნებლის ნებას. განხილვის კოლეგიის შეფასებით, კლიენტის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები და არ გამოიყენოს ადვოკატის თუ პროცესის ნებისმიერი მონაწილის მიმართ მიმართვის ისეთი ფორმები, რაც შეიძლება შეურაცმყოფელი იყოს. ადვოკატმა დ.ა.მ სამოქალაქო საქმეზე საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას მის მიერ წარდგენილ განცხადებებში ადვოკატი გ.ი. მოიხსენია ისეთი ფორმით, რაც ლახავს ადვოკატის როგორც პირად, ასევე საქმიან რეპუტაციას, პატივსა და ღირსებას.

ადვოკატ დ.ა.-ს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა გაფრთხილება.